ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3596317

ნომერი: AR1546965

თარიღი : 05.10.2017

გაცემის თარიღი : 06.10.2017

გაცნობის თარიღი : 11.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი I , ცენტრალური გზის მიმდებარედ , უბანი II , ნაკვეთი N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №3563116 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 5

ოქტომბერს №AR1546965 განცხადებით მომართა ილია ხავთასმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №3563116 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №3563116 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, დიდი დიღმის I მიკრო/რაიონში, ცენტრალური გზის მიმდებარედ (ნაკვეთიN1) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.10.06.014.016), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №3563116 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და განმარტავს, რომ საცხოვრებელი ფართობი უნდა იყოს 7795,7 კვ.მ, ნაცვლად 7500,5 კვ.მ-სა, საზაფხულო ფართობი უნდა იყოს 1454,4 კვ.მ, ნაცვლად 1372 კვ.მ-სა, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი უნდა იყოს 857,7, ნაცვლად 1168,2 კვ.მ-სა ავტოსადგომის ფართობი უნდა იყოს 843,3 კვ.მ, ნაცვლად 847,7 კვ.მ-სა და საერთო ფართობი უნდა იყოს 11696,5 კვ.მ, ნაცვლად 11633,8 კვ.მ-სა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 5 ოქტომბრის AR1546965 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2017 წლის 25 სექტემბრის №3563116 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №3563116 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 7795,7 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს: 1454,4 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს: 857.7კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს: 843,3 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს:11696,5კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №3563116 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 25 სექტემბრის №3563116 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.